International Theatre Institute ITI

World Organization for the Performing Arts

2013 წლის „ცეკვის საერთაშორისო დღის“ გზავნილის ავტორია ტაივანის „ქლაუდ გეიტის“ ცეკვის თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ტაივანელი ქორეოგრაფი ლინ ჰვაი-მინი.

გზავნილი ლინ ჰვაი-მინისგან!

ჩვ. წ. აღ-მდე მეათე-მეშვიდე საუკუნის ჩინური პოემების ანთოლოგიის „სიმღერათა წიგნის“ წინასიტყვაობაში წერია:

„წარმოქმნილი ემოციები ფორმირდებიან სიტყვებში.

თუ სიტყვები არ არის საკმარისი, ისინი ფორმირდებიან სუნთქვაში.

თუ სუნთქვა არ არის საკმარისი, სიმღერაში.

თუკი სიმღერაც არ არის საკმარისი, მაშინ ქვეცნობიერად

ჩვენ გამოვხატავთ ემოციებს მოძრაობით“.

ცეკვა ძლიერი გამოხატვის ფორმაა.

ის ესაუბრება ცასა და მიწას.

ის გადმოსცემს ჩვენს სიხარულს, შიშებსა და სურვილებს.

ცეკვა გადმოსცემს უხილავს. ის ასახავს ადამიანურ მდგომარეობას,

ადამიანის განწყობასა და ხასიათს.

როგორც მსოფლიოს სხვა კულტურები, ტაივანის ადგილობირივი მოსახლეობა ცეკვავს წრეში.

მათ წინაპრებს სჯეროდათ, რომ ბნელი ძალები წრეში ვერ შეაღწევდნენ.

ხელჩაკიდებულები ისინი უზიარებენ ერთმანეთს სითბოს და მოძრაობენ საერთო რითმში.

ცეკვა აერთიანებს ადამიანებს.

ცეკვა იქმნება წამიერად.

მოძრაობები იქმნებიან და ქრებიან.

ცეკვა სწორედ ამ წამიერ მდგომარეობაში არსებობს.

ის ძვირფასია. ის თავად სიცოცხლის მეტაფორაა.

ციფრულ ეპოქაში, მოძრაობები მილიონობით სახეს იძენენ.

ეს ყოველივე განსაცვიფრებელია.

მაგრამ ისინი ვერასოდეს შეცვლიან ცეკვას, რადგანაც სახე უსიცოცხლოა.

ცეკვა კი სიცოცხლის ზეიმია.

მოდი, გამორთე ტელევიზორი, კომპიუტერი და იცეკვე.

გამოხატე საკუთარი თავი ამ ღვთაებრივი და ღირსეული საშუალებით, რომელსაც სხეული ჰქვია.

მოდი იცეკვე და შეუერთდი ხალხს რითმულ ტალღებში.

დაიჭირე ეს უძვირფასესი წამი და იზეიმე სიცოცხლე ცეკვის საშუალებით.

ქართულ ენაზე თარგმანი მოამზადა თამუნა ლოლუამ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

Translation: Tamuna Lolua, Arts Research Institute of Ilia State University